

გამოცემა ეძღვნება
ძმები კარბელაშვილების
ნათელ ხსოვნას

ძმები კარბელაშვილები

მარცხნიდან მარჯვნივ: მღვდელი პოლიევქტოსი,
მღვდელი ვასილი (შემდგომში ეპისკოპოსი სტეფანე),
მღვდელი პეტრე, მღვდელი ანდრია.
თბილისი 1892 წელი.

ქართული საეკლესიო გალობა

აღმოსავლეთის სკოლა

(ქართლ-კახური კილო)

III ტომი

მეორე გამოცემა

მწუხრი - ცისკარი - წირვა

გადმოცემული ძმები კარბელაშვილებისა
და ანდრია ბენაშვილის მიერ

Georgian Church Chant

Eastern school

(karbelashvili mode)

III volume

Second edition

Vespers - Matins - Liturgy

თბილისი
2008

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების - ღამისთევის ლოცვისა და ლიტურგიის - საეკლესიო საგალობლების კრებულს. მასში შესულია აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის, ე.წ. კარბელაანთ კილოს 239 საგალობელი, რომლებიც საღმრთისმსახურო წიგნების მიხედვით ტიპიკონურადაა გამართული. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად კი ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების მუსიკალური რედაქტირების პირველი ცდა, რომელიც განხორციელებულია ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

კრებულის ხელმეორედ გამოცემა განაპირობა მასზე მგალობლებისა და მორწმუნე მრევლის დიდმა მოთხოვნილებამ. იგი განკუთვნილია მართლმადიდებლური ტაძრის გუნდებისა და სპეციალისტთა წრეებისათვის.

წიგნი გამოდის შესწორებული სახით.

The persent edition is a collection of church canticles - old proffesional music models. It consists of 239 canticles of Estern Georgian hymn mode (Karbelashvili mode), wich are arraged according to the devine service series. It is the first attempt of musical editing of note records done on the brink of XIX-XX centuries and it has been fulfilled talking into account the experience of Anchiskhati choir.

The book is intended for choruses of orthodox churches and circle of the experts.

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა: მალხაზ ერქვანიძემ

The collection has collected to the education and has prepared: Malkhaz Erkvanidze

საგამომცემლო ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ბატონ გოგა უკლებას

გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისათვის და

დეკანოზ მიქაელს (წულუკიძე) თანადგომისათვის

წმიდათა თანა ეანყჷენ ყოველი სულსა სანაცოლისა ჩჷილისა ეიორჷეისი (ყულოჭა)

© სრულიად საქართველოს საპატრიარქოს

საეკლესიო გალობის ცენტრი

2008

მღვდელი ვასილ კარბელაშვილი
შემდგომში ეპისკოპოსი სტეფანე
1858 - 1936

მღვდელი ალექსანდრე
მოლოდინაშვილი
18?? - 1901

მარცხნიდან მარჯვნივ, მღვდლები: ვასილ და ანდრია კარბელაშვილები,
ალექსანდრე მოლოდინაშვილი, გრიგოლ მღებრიშვილი,
მგალობელი პეტრე კარბელაშვილი და
მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი.
თბილისი 1885 წელი.

წინასიტყვაობა

„ქართლ-კახური გალობა არის ის წყნარი, აუჩქარებელი, დინჯი, შეუდრეკელი, მდორი, გულჩათხრობილი, გულმხურვალებით აღსავსე გრძნობა-ვედრება უზენაესისადმი, რომელიც ჰხატავს ერის მაღალზნეობითს აღსავსე სულიერ სიმდიდრეს, რომელმანც ათას ხუთას ოთხმოც წელიწადში გამოატანინა თავი ქართველობას და არა დროს არ აგმევინა სჯული ქრისტესი". ასე აღგვიწერს ქართლ-კახური გალობის ბუნებას მღვდელი ვასილ კარბელაშვილი (შემდეგში ეპისკოპოსი სტეფანე) 1897 წელს თავის მიერვე გამოცემული „მწუხრის" წინასიტყვაობაში.

თუ შევადარებთ გალობის მაშინდელ მდგომარეობას დღევანდელს, საგულისხმო პარარელების გავლებას შევძლებთ. კერძოდ: XIX საუკუნეში ქართულ გალობას რუსი დევნიდა, მაგრამ იკყვნენ ნამდვილი მცოდნეები და ჭირისუფალნი ქართული გალობისა. მაშინ, დევნულების ჟამს, გაცილებით უკეთ იცოდნენ კარგი გალობისა და მგალობლის ფასი, ვიდრე დღეს. XXI საუკუნეში, როცა თითქოს დამოუკიდებელი და თავისუფალი ვართ, უნდა შეგვეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება, მაგრამ რეალობა სავალალოა. ქართველებს დაქვეითებული გვაქვს კეთილგონიერი განსჯის უნარი. გვიძნელდება პრიორიტეტულ და ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხთა გამორჩევა. ისევ მღვდელ ვასილ კარბელაშვილს დავესესხებით: „ნოტებზე გადაღებული წმინდა იოანე ოქროპირის წირვის წესი ქართული გალობისა ქართლ-კახური კილოთი სასიქადულო ნაყოფია ჩვენი სახელოვანი მღვდელთმთავრის ალექსანდრე ეპისკოპოსის სამშობლო ეკლესიის კეთილდღეობისათვის მზრუნველობისა. მისი მაღალი სული მუდამ იმის ზრუნვაში ყოფილა და არის, თუ რა ვარგო წმინდა ეკლესიას. აბა, ბიჭო, მითხარი, რომელი უფრო მოგწონს ამ სამ საგანში: საეკლესიო გალობის აღდგენა, დარღვეული მონასტრების განახლება, თუ ჩვენი სასულიერო მწერლების ნაწერების ბეჭდვაო?" - არა ერთხელ უკითხავს მას ჩემთვის. თქვენო მეუფებავ! სამივე ერთი ერთმანეთზედ უკეთესია და რა ემჯობინება, რომ სამივე ესენი არ დააშოროთ ერთმანეთს! „ერიჰა! ეგ ხომ მძიმე და ძნელი საზიდი უღელია ჩემთვის, შვილო, მაგრამ მჯერა, მართლადაც არ დაშორდებიან ეგენი. ღმერთი მოწყალეა". აი, რა სასოებით შეუდგა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ქართული გალობის ნოტებზე გადაღების საქმეს! და, აჰა, საუკეთესო ნაყოფი მისი მაღალი სულისა" (იხ. ქართული გალობა ქართლ-კახური კილოთი ლიტურღია თბ. 1899 წ.). მცირე კომენტარი: იმ სამი უმთავრესი საგნისაგან, რომლებზეც წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძე მსჯელობს, მაშინ პრიორიტეტი სწორედ გალობის გადარჩენის საქმეს მიენიჭა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ფრიად საგულისხმო ფაქტია! ჩვენი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილმა მღვდელთმთავრებმა - გაბრიელ ქიქოძემ და ალექსანდრე ოქროპირიძემ, რომელთა მეთაურობითაც აღსრულდა ეს დიდი საქმე, უაღრესად სწორი არჩევანი გააკეთეს. მაშინაც საკეთებელი და საზრუნავი სხვაც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი მოითმენდა გალობის გადარჩენის საშვილიშვილო საქმის გარდა! ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით დღეს მათი სულიერი შთამომავალნი, ძველი მადლიანი ქართული გალობის გარეშე. ამ საშვილიშვილო საქმის მოთავეებმა საგანგებოდ მოიწვიეს ნოტის მცოდნეები, გალობის ოსტატები. ყოველმხრივ უზრუნველყვეს ისინი და საქმის ხარისხიანობის შესამოწმებლად კომისიებიც შექმნეს, რათა შეურყვნელად გადაეტანათ ნოტებზე ჩვენი ფასდაუდებელი სულიერი საგანძური. აჰა, განგება ღვთისა, აჰა, ნამდვილი სამღვდელთმთავრო გულისხმისყოფა! „სამშობლო გალობის და სიმღერის დაკარგვასა და შეცვლასა მე ვადარებ სამშობლო ენის, თვით სამშობლოს დაკარგვასა", — ბრძანებს პოლიევქტოს კარბელაშვილი. ნათქვამია - „წმინდანების აღიარება მათი საქმეების მიბაძვაში მდგომარეობს"-ო.

დღის სინათლეზე გამოდის წინამდებარე წიგნი „ქართული გალობა", ტომი III, რომელშიც თავმოყრილია აღმოსავლეთ საქართველოს, ე.წ. „კარბელაანთ კილოს" ღამისთევის ლოცვისა და წირვის წესის საგალობლები. რას ნიშნავს „კარბელაშვილაანთ კილო" და რატომ ჰქვია მას ეს სახელი? პასუხს ისევ ქართლ-კახური გალობის საუკეთესო მცოდნე, მღვდელი ვასილ კარბელაშვილი იძლევა: „რაც შეეხება სახელწოდებას „კარბელაშვილის გალობა", იმიტომ კი არ ეწოდება, რომ იგი შექმნა კარბელაშვილმა, არამედ იმიტომ, რომ მისითვე მამაპაპეულად დღემდის დარჩა იმის ოჯახში და აქანობამდის მოიტანეს. აი, ამიტომ ჰქვიან „კარბელაშვილის კილოთი" (იხ. ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი, „მწუხრი", გვ. III 1897 წ.).

მაინც რომელი ეკლესია-მონასტრის ტრადიციას წარმოადგენს „კარბელაანთ კილო"? „ქართული გალობის" II ტომის წინასიტყვაობაში განხილული გვაქვს ქორიძე—კერესელიძის ხელნაწერების სადაურობა და გარკვეულია, რომ ამ ხელნაწერებში დაფიქსირდა გელათის მონასტრის სამგალობლო სკოლის ტრადიცია (იხ. „ქართული გალობა" ტომი II, თბ. 2002 წ.). მართალია, გაზეთი „ივერია" (1890 წ. №259) აღნიშნავს, რომ გელათიდან არა თუ იმერეთს, გადაღმა საქართველოსაც ეფინებოდა გალობაო. მაგრამ, თუნდაც ასე ყოფილიყო, ქართლ-კახური გალობის სანოტო მასალების შედარება-შეჯერებით ირკვევა, რომ აღმოსავლურ გალობას, მიუხედავად იმისა, რომ დასავლურ გალობასთან მიმართებაში ერთიანი ძირები გააჩნია, მაინც განსხვავებული კილო, მუხლები და ზოგჯერ ჰანგებიც კი სხვა აქვს. მაგალითად: სხვადასხვა ჰანგი აქვს გელათის მწუხრის I ხმის „უფალო ღაღად-ვყავ"-ს, „ნათელო მხიარულო"-ს, წირვის „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ"-ს, „წმიდაო ღმერთო"-ს, ვიდრე კარბელაანთ კილოს შესაბამის საგალობლებს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარკვეულ მსგავსებას, რასაც ამჟღავნებს გელათის საბავშვო წირვისა და

დიმიტრი არაყიშვილის მიერ ჩაწერილი „წმიდაო ღმერთო"-ს (იხ., „ქართული გალობა" ტომი I გვ. 229, და „Музыкально-этногафические очерки о Грузинской музыке" გვ. 100), ღმრთისმშობლის იამბიკოს „შენ ხარ ვენახი"-ს ჰანგიც ხომ განსხვავებულია აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ასევე იშვიათია მელოდიური მსგავსებები აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარდგომებსა და ალილუიებს შორის. მართალია, ჯერ კიდევ X საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი აღნიშნავს, რომ ერთი საგალობლის კილო ორგვარად თუ ნახო, ნუ გაიკვირვებ, რადგან ორივე მართალიაო. მაგრამ, როდესაც ქართული გალობის ამ ორ შტოში ხშირად საერთო მელოდიურ ძირებს ვერ აღმოაჩენ, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს უკვე შორს წასული პროცესია. თუმცა აქ არავითარ წინააღმდეგობასთან არ გვაქვს საქმე. პირიქით, მიგვაჩნია, რომ ეს არის ჩვენი ეკლესიის სიმდიდრე - ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია და დროთა განმავლობაში მასში ვლინდება სულიწმინდისმიერი ნაყოფი, როგორც სწავლებაში, ასევე ქრისტიანულ ხელოვნებაში. ამ ორი შტოს საერთოსა და განსხვავების მიზეზ-შედეგობრიობას ქვემოთ შევეხებით. ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რომელი მონასტრის ან ეკლესიის სახელთანაა დაკავშირებული ეს ჩვენი დიდებული „კარბელაანთ კილო".

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული ცნობების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში გელათის მონასტრის მსგავს ერთიან სამგალობლო ცენტრს ვერ ვხედავთ. გამომდინარე, გვიჭირს ე.წ. კარბელაანთ კილოს გაიგივება აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე ეკლესიისა თუ მონასტრის სახელთან. კეთოდ, აქ ერთნაირი წარმატებით მოიხსენიებიან ქვათახევის, შიო-მღვიმისა და გარეჯის მონასტრები, მარტყოფისა და ბოდბის სავანეები, ფიტარეთი თავისი ცნობილი ჭრელების ნუსხით და სხვა. სამწუხაროდ, არანაირი ცნობა არ გაგვაჩნია იყალთოს მონასტრის სამგალობლო ტრადიციაზე, სადაც შუა საუკუნეებში ცნობილი აკადემია არსებობდა. რასაკვირველია აქ გალობის კერა უსათუოდ იქნებოდა. განთქმული იყო მცხეთის საკათოლიკოსო სემინარია, სადაც, სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებთან ერთად, გალობაც აქტიურად ისწავლებოდა. მოსწავლეები თხზავდნენ იამბიკოებს მეფისა თუ კათალიკოსის პატივსაცემად. თვით მეფე ერეკლე II შესანიშნავი მგალობელი ყოფილა და მთელი თავისი ცხოვრება ხელს უმართავდა მგალობლებს, მასვე დაუარსებია სამგალობლო სკოლა თელავში. მეფე ერეკლეზე, როგორც გალობის სიწმინდის დამცველზე, ერთობ საინტერესო ცნობას იძლევა პოლიევქტოს კარბელაშვილი, რომელიც იხსენებს, თუ როგორ დასაჯა და გააძევა მეფემ ზაქარია მოძღვარი (გაბაშვილი) ქართული გალობის შერყვნისთვის (იხ. ანჩისხატის ტაძრის დეკანოზის პოლიევქტოს კარბელაშვილის წიგნი „ქართული საერო და სასულიერო კილოები" ტფილისი 1898 წ., გვ. 73). სასურველია იგი ყველამ წაიკითხოს, მიუხედავათ იმისა რომ, შესაძლოა, მასში ზოგიერთი საკითხი ან შეხედულება საკამათოდ ჩათვალოს. ზოგადად, მეტად საშური საქმეა სულიერი კავშირის აღდგენა ძველ ქართველ სამღვდელოებასთან, რომელსაც გარდა მაღალი ქრისტიანულ—ზნეობრივი ნიშნისა, ჭეშმარიტად ეროვნული, მოქალაქეობრივი თვითშეგნება გააჩნდა. კაცთმოთნეობისაგან თავისუფალთ მხოლოდ მაღალი იდეები ამოძრავებდათ. გარდა ზემოხსენებული სავანეებისა, გვიანი შუა საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეულ ცნობებში განსაკუთრებით ფიგურირებს თბილისის ანჩისხატის ტაძარი, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართული გალობის სკოლა. დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი თავის პატარა წიგნში „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში" მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდის: „ანჩისხატის ეზოში ძველთაგანვე გამართული იყო საკათალიკოსო ბინადრობა: სადგომი სახლი კათალიკოზისა . . . ანჩისხატის ტაძრის ეზო ძველად წარმოადგენდა დიდებულს სანახაობას, აქ იყო უმაღლესი სასწავლებელი. აქ იყვნენ თავმოყრილნი საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და მგალობელნი . . . აქედან ეფინებოდნენ საქართველოს ყოველ კუთხეს განსწავლულნი მღვდელნი, დიაკონნი და მეფსალმუნენნი—მგალობელნი . . . ქართლ-კახეთის ყოველი მღვდელთმთავარი აქ შოულობდა, როცა საჭირო იყო, მწერალ—მწიგნობარსა და მგალობელსა - მესხიანთმაღალიანთ გვარმა დაიცვეს ჩვენამდე საუკეთესო გალობა, კილო სახარებისა და სამოციქულოს კითხვისა. ვის არ ახსოვს შესანიშნავი სახარების მკითხველი ტარასი არქიმანდრიტი (+1874)? ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი მღვდელი და მთავარდიაკონი ცდილობდა მიბაძვას მისი კილოთი სახარების კითხვისა".

ისმის კითხვა: შემთხვევითია განა ის ფაქტი, რომ სწორედ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ანჩისხატის ტაძარში განახლდა, თითქმის საუკუნემივიწყებული ქართული გალობა და აქედან ეფინება დღესაც იგი მთელს საქართველოს? ისიც შემთხვევითია განა, რომ საუკეთესო კილო სახარების კითხვისა დღესაც ანჩისხატში ისმის? და, თუ ეს ასეა (ამას ყველა აღიარებს), ხომ არ დადგა დრო, რომ ანჩისხატის ეზოში აღდგეს ის სასულიერო, საგანმანათლებლო და სამგალობლო ტრადიციები, რომელებიც შეშვენის ამ მრავალ-ჭირნახულ ტაძარს? ხომ არ დადგა დრო, პრიორიტეტულად ჩავთვალოთ მომავალი კადრების აღზრდა, ისეთებისა, რომელთაც ერთდროულად მიეცემათ სულიერი და მწიგნობრული განათლება, მტკიცე მართლმადიდებლური ცნობიერება და მაღალეროვნული მოქალაქეობრივი შეგნება. ამ საქმეში ქართული გალობა-სიმღერა ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას შეასრულებს. სიტყვა მათზეა, ვისაც საკითხის გადაწყვეტა ხელეწიფება.

დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ მსჯელობას. მოხმობილი ცნობები მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ანჩისხატის ტაძარი აღმოსავლეთ საქართველოს გალობის უმთავრეს კერად ვაღიაროთ (თუმცა აქ გალობის ტრადიციას, როგორც აღინიშნა მტკიცე საფუძველი ჰქონდა). ამდენად „კარბელაანთ კილოს" ამიერიდან აღმოსავლურ სკოლად მოვიხსენიებთ. თუმცა იმდენადაა ქართლ-კახური გალობა ამ გვართან სიმბოლიზებული, უმართებულო იქნება ეს სახელი დაეკარგოს მას და, ალბათ, არც იქნება სწორი. დღეს, ღვთის მადლით, ნელ-ნელა ცოცხლდებიან წინაპართა სახეები და მათი ამაგის დაფასება იწყება.

ვინ საგალობლებზე მუშაობს, ვინ სიმღერაზე, ვინ წარსულის აქა-იქ მიმოფანტულ ცნობებს პოულობს, ვინ მივიწყებულ, ძველ ფოტოებს აგროვებს და ა.შ. კარბელაშვილებზეც იბეჭდება სტატიები. გვარზე, რომელიც მოდგმით გალობდა. პოლიევქტოსისა და ვასილის პაპა, პეტრე ხმალაძე გახლდათ, რომელიც XVIII საუკუნეში მცხეთაში სწავლობდა გალობას კათალიკოს ანტონ I დროს. პეტრეს შვილი გრიგოლი (იგი უკვე კარბელაშვილის გვარს ატარებდა) იყო მღვდელი და სრული მგალობელი, დაუღლელი გამავრცელებელი გალობისა; ბოდბის მონასტერშიც მან აღადგინა გალობა. გრიგოლს ოთხი შვილი ჰყოლია: პეტრე, ანდრია, ვასილი და პოლიევქტოსი. - სასულიერო პირები, მგალობლები, საზოგადო მოღვაწეები . . . ჩვენი ვალია მათი ნაღვაწის ჯეროვანი შეფასება-დაფასება. მათი თავდაუზოგავი ფიცხელი შრომა-რუდუნების წარმოჩენა, რათა მომავალ თაობას ჰქონდეს სულიერი საზრდო. ნათელში იყოს მათი სულები!

შემორჩა თუ არა აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციას „კარბელაანთ კილოს" გარდა სხვა კილოები? დიახ, საბდნიეროდ შემორჩა, სამი სხვაც.

<u>1) ალექსანდრე მოლოდინაშვილის ხელნაწერი - სადა ქართლ-კახური გალობა</u> (ხელნაწერი აღმოაჩინა ლუარსაბ ტოგონიძემ). ალექსანდრე მოლოდინაშვილი კარბელაშვილების თანამგალობელი იყო და გალობაც მათგან ჰქონდა ნასწავლი. ასე რომ, ეს კილოც კარბელაანთ კილოდ უნდა ჩაითვალოს. იგი მცირედით სხვაობს იმერულ-გურულ სადა კილოს. ზედა ხმების ტერციული წყობით ჰგავს დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ გადაღებულ წირვას (იხ. ქართული გალობა, ტ. I). არსებობს მოსაზრება, თითქოს ტერციული პარარელიზმი გვიანდელი მოვლენაა ქართულ საგალობელში და იგი დამკვიდრებულია ევროპული მუსიკის გავლენით. ჩვენ ამ აზრს არ ვიზიარებთ. მართალია, თავდაპირველი სახე II და III ხმების შეწყობისა I ხმასთან მიმართებით ქართულ საგალობელში კვინტა-ოქტავური იყო (იგულისხმება ადრეული შუა საუკუნეები. ამ აზრს ფილიმონ ქორიძე ამტკიცებს და ჩვენც სრულიად ვეთანხმებით), მაგრამ მომდევნო ეტაპი ხმათა შეწყობისა სავსებით შესაძლებელია ტერციული ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ტერცია ქართულ სინამდვილეში ევროპიდან მოსული ნამდვილად არ არის. ჩვენ ამაში დავრწმუნდებით თუ თვალს გადავავლებთ შემოქმედის სკოლის დიდოსტატ - ანტონ დუმბაძის მიერ ფილიმონ ქორიძისადმი გადაცემულ ძლისპირებს (იხ. Q 686). აღნიშნულ ძლისპირებში, ძირითადად ტერციული წყობა ჭარბობს. დუმბაძე, რომელიც სრული მგალობელი იყო გელათისა და შემოქმედის სკოლისა, და ამავე დროს სრულიად თავისუფალი გახლდათ ევროპული მუსიკის გავლენისაგან, ქორიძეს გადასცემს არა შემოქმედის სკოლის იმ გალობას, რომლითაც ცნობილია ამ ტაძრის სამგალობლო ტრადიცია (იგულისხმება ორი კვინტის პარალელიზმებიანი გამშვენებული გალობა), არამედ ტერციული ტიპის სადა, ანუ უფრო ძველებურ გალობას, რომელიც საფუძველი იყო გელათისა და თვით შემოქმედის სამგალობლო სკოლისა. შეუძლებელია დავუშვათ, რომ დუმბაძეს ევროპული გავლენა განეცადა და, აქედან გამომდინარე, ეაზროვნა ტერციულად. მან ქორიძეს გადასცა საუკუნეებგამოვლილი სადა, ტერციული ტიპის გალობა. გავავლოთ პარალელი ხუნდაძის ტერციული ტიპის წირვასა და ფილიმონ კარბელაშვილის მიერ ჩაწერილი ტერციული ტიპის საგალობლებს შორის.

გვინდა გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება ხმათა შეწყობისა და გამშვენების განვითარების ქრონოლოგიურ ეტაპებზე, რომელიც დაახლოებით ასე გვესახება. მაგალითისთვის ავიღოთ ერთი პატარა მოტივი:

მაგალითი №1



მივაქციოთ ყურადღება ე) და ზ) ნიმუშებს, სადაც, ხმათა გაცვლისა და გამშვენების თვალსაზრისით, ძირითად ბგერებზე დროის გახანგრძლივების ხერხები შემოდის. ა)–ზ) ნიმუშებში, როგორც ვხედავთ, ხმათა შეწყობა ოქტავურ განლაგებას არ სცილდება. აქ ოქტავა მთლიანად წურავს თავის შესაძლებლობებს. ხოლო თ) ნიმუშში, რომელსაც შემოქმედის სკოლის ტრადიციას მივაკუთვნებთ, როგორც ვხედავთ, ოქტავა ფართოვდება. იგი, როგორც ხმათა შეწყობის ყველაზე მყარი და აუცილებელი ინტერვალი კარგავს თავის ფუნქციას და ამიერდან ნონა გვევლინება ოქტავის სანაცვლო ინტერვალად. ამის დადასტურებაა ისიც, რომ ქორიძე-კერესელიძის ხელნაწერებსა თუ გამოცემულ კრებულებში, რომლებშიც ანტონ დუმბაძის მიერ გადმოცემულ საგალობლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, და მით უმეტეს, რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში, ძალზე იშვიათად თუ შევხვდებით ორი კვინტის პარალელიზმს:

მაგალითი №2



ამდენად, ორი კვინტის ან ნონის ღერძის გამოჩენა ხმათა განლაგებაში მიგვაჩნია ხმათა შეწყობისა და გამშვენების ბოლო ეტაპად ქართულ გალობაში. ტერცია სავსებით ქართული მოვლენაა და მას დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

<u>2) ფილიმონ კარბელაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული და მცირე წიგნად გამოცემული „საგალობელნი შობის დღესასწაულისა”-ს კილო (თბილისი. 1899 წ.).</u>



აღნიშნული საგალობლები ფილიმონ კარბელაშვილს ჩააწერინეს პოლიეევქტოს კარბელაშვილმა (ფილიმონის მამა) და ალექსანდრე მოლოდინაშვილმა. ეს კილო შეიძლება ჩავთვალოთ ნამდვილ კილოდ. გალობის მცოდნეს სურვილისამებრ შეეძლო სადა თუ გამშვენებული კილოს გადაცემა. ამ შემთხვევაში პ. კარბელაშვილისა და ა. მოლოდინაშვილის მიერ გადაცემული გალობის კილო საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ქართლ-კახური გალობის განვითარების ეტაპებს. კილო გალობისა თავისთავად მშვენიერია, ხმათა მოძრაობა ძირითადად ტერციულია. ფრაგმენტულად ვხვდებით მეორე ხმის დაწინაურებას, რაც გარდამავალი ეტაპია ქართლ-კახურ გამშვენებულ კილომდე (ანუ ვგულისხმობთ ე.წ. „კარბელაანთ კილოს”). მთავარი ღირსება, ამ პატარა კრებულისა, ისაა, რომ ჩვენამდე მოღწეული სანოტო ხელნაწერებიდან, როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში, არსად არ აღბეჭდილა მოდულაციების ასეთი სიუხვე. ამასთან, ნოტებზე გადატანაც შესაფერისი წარმატებითაა განხორციელებული. თანაც, ჩვენ მიერ გამოთქმული ეჭვი ქართლ-კახური გალობის ბგერათაწყობაზე ტემპერაციის ერთგვარი გავლენისა (იხ. „ქართული გალობა”, ტომი I, გვ. X, თბილისი 2004 წ.), გამართლდა. აღმოჩნდა, რომ დ. არაყიშვილს ზემოთ დასახელებული ნარკვევის - „Музыкально-этнографические

очерки о Грузинской музыке" - 101-ე გვერდის სქოლიოში გამოთქმული ჰქონია იგივე მოსაზრება. მას, ფრიად ნიჭიერ და ალღოიან მუსიკოსს, უშუალო შეხება ჰქონდა ძმებ კარბელაშვილებთან, რომელთაგანაც თავისი ნაშრომის საილუსტრაციო მასალებისათვის ჩაიწერა კიდეც რამდენიმე საგალობელი. დ. არაყიშვილი მიუთითებს იმ განსხვავებებზე, რომლებიც მან დაინახა, ერთი მხრივ, ძმები კარბელაშვილებისა და, მეორე მხრივ, გიორგი ზალიკაშვილისა და დიაკონ ომანიძის ნაგალობევს შორის. აქ იგი ეხება რიტმულ, მელიზმატიკურ მხარეს და განსაკუთრებით აღნიშნავს სხვაობას ბგერათაწყობასთან დაკავშირებით: ზალიკაშვილი-ომანიძე სხვა წყობაში მღერიან, (ანუ უფრო ავთენტურად), ძმები კარბელაშვილები კი ტემპერაციას უახლოვდებიანო. საიდან შეიძლება შეპარულიყო ტემპერაციის გავლენა კარბელაშვილების ნაგალობევში? ერთი რამ ცხადია: მათი მამა გრიგოლ კარბელაშვილი და მით უმეტეს პაპა, პეტრე ხმალაძე, სრულიად თავისუფალნი იქნებოდნენ ასეთი გავლენისაგან. რასაკვირველია ეს მოვლენა ევროპული მუსიკის შემოჭრის შედეგია. XIX საუკუნის 50-იან წლებში თბილისში იხსნება ოპერა, შემოდის ქალაქური რომანსი, გიტარა, ფორტეპიანო. დიდი ძალისხმევა იყო საჭირო ამ ზეგავლენისაგან თავდასაღწევად. მაგრამ ყველაზე შესაძლო ვარაუდი მათს ნამღერზე ტემპერაციის გავლენისა, უნდა იყოს ერისკაცობაში მყოფი ვასილ კარბელაშვილის მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის შედეგი. (იხ. „საპატრიარქოს უწყებანი" 2004 წ. №48. ისტორიკოს ელ. ბუბულაშვილის პუბლიკაცია). მაგრამ ისე არ წარმოვიდგინოთ, რომ მათ სავსებით ჰქონდათ დაკარგული ძველი ბგერათაწყობის აღქმა. აქ მხოლოდ, ნებსით თუ უნებლიეთ, გეზი აღებულია ტრადიციული ბგერათაწყობის რღვევისა.

ქართული ენა იყოფა ორ კატეგორიად: სიტყვიერად და მუსიკალურად. მუსიკალურში შედის:

ა) ჰანგი — საეკლესიო და საერო.

ბ) ქართული გალობისა და სიმღერის კილო, ჰარმონიის გაგებით, ანუ ამა თუ იმ სამგალობლო სკოლის, ამა თუ იმ კუთხის, ცალკეული სოფლებისა თუ გვარებისათვის დამახასიათებელი კილოს თვალსაზრისით.

გ)კილო ბგერათა რიგის თვალსაზრისით, რაც უშუალოდ კავშირშია ბგერათაწყობასთან.

დ) ორიგინალური ქართული ბგერათაწყობა.

ე) საკუთრივ ბგერა. ქართულად გამოცემულ ერთ ბგერასაც კი თავისი ხასიათი აქვს და მნიშვნელოვნად სხვაობს სხვათა ტრადიციისაგან.

ვ) გლოსოლალიები.

ზ) ყველაზე მთავარი — მრავალხმიანობაში აზროვნება.

(აქ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე აღარაფერს ვამბობთ). რომელიმე ერთი კომპონენტის გამოკლება აზიანებს ქართული მუსიკალური ენის სრულყოფილებას. ამდენად, როდესაც აღდგენაზეა საუბარი, აუცილებელია, ქართული მუსიკალური ენის აღდგენა მთელი თავისი სისავსით მოხდეს.

<u>3) მესამე, განსხვავებული საგალობო კილო - ესაა დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი წირვის კილო,</u> რომელზეც, ნაწილობრივ, ზემოთ გვქონდა საუბარი.



საკმარისია, ერთხელ შეხედო ქართლ-კახური გალობის წირვის ამ კილოს, მაშინვე მიხვდები, რომ საქმე გვაქვს გამშვენებულ-მელიზმატიკურ სტილთან. ეს მელიზმები ძირითადად ეხება ზედა ხმებს, ზოგჯერ ბასსაც კი. აღნიშნული საგალობლები ჩაწერილია, როგორც დ. არაყიშვილი აღნიშნავს, გალობის იშვიათი მცოდნის გიორგი ზალიკაშვილის, დიაკონ ომანიძის (სახელი არ ახსოვს) და სხვა მგალობლებისაგან (გვარებს არ ასახელებს).

ამ კილოს, ანუ მელიზმატიკურ სტილს, მეტ-ნაკლები ხვედრითი წონა აქვს. როგორც მრავალხმიანობის ტიპი, იგი უაღრესად საინტერესოა, ვინაიდან ერთდროულად ჰგავს ქართლ-კახურ საერო სიმღერას და სხვაობს მისგან (ხაზგასმით აღვნიშნავთ: აქ არ იგულისხმება ჰანგი, როგორც არა ერთს მიაჩნია უსაფუძვლოდ, არამედ მხოლოდ მრავალხმიანობის ტიპი, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს გალობაში ხმათა გამშვენება უმეტესწილად ჰორიზონტალში მიედინება, რისი შედეგიცაა განაპირა ხმებთან შედარებით II ხმის დაწინაურება, ანდა მელიზმების ასეთი სიუხვე).

ბანი აქ სწორუპოვარ როლს ვერ ასრულებს, რითაც, გარკვეულწილად, ჩრდილი ადგება სამობის პრინციპის გააზრებას, რაც მიახლოებითი მსგავსებაა საგალობელში ყოვლადწმიდა სამებისა (იხ. ჩვენი სტატიები „ქართული მრავალხმიანობის ბუნების შესახებ" თბილისის სახ. კონსერვატორია 2000 წ. და „ქართული მრავალხმიანობის ბუნება. ფორმათა ერთიანობის შეასახებ" თბილისის სახ. კონსერვატორია 2001 წ.). ხოლო, როცა ვერტიკალი და ჰორიზონტალი გაწონასწორებულია სამობის პრინციპიდან გამომდინარე, ანუ ერთობის, განუყოფლობის, თანასწორუფლებიანობის, სამივე ხმის თანაბრად შემოქმედითობის მიხედვით, ადგილი აღარ აქვს არც მელიზმებს, არც რომელიმე ხმის დაწინაურებას ან დაქვეითებას. ანუ ისახება ჯვრის ფორმა. ამ მხრივ უპირატესობა, რა თქმა უნდა, გელათის და შემოქმედის სკოლებს აქვთ. მოლოდინაშვილის მიერ ჩაწერილ სადა გალობას კი, სხვა ქართლ-კახურ კილოებთან შედარებით, გაწონასწორებული ვერტიკალ–ჰორიზონტალი აქვს. ქართლ-კახურ სიმღერასთან მიმართებით დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი წირვის საგალობლების ბანი ცხადია ბევრად დაწინაურებულია, მაგრამ სამგალობლო მრავალხმიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ზედა ხმებთან შედარებით მაინც არათანასწორუფლებიანია. ამ კილოში იგრძნობა გავლენა ქართლ-კახური სიმღერის მელიზმატური სტილისა.

საილუსტრაციოდ მოგვყავს ქართლ-კახური სადა და გამშვენების ორი სახე. მივაქციოთ ყურადღება, გამშვენება ძირითადად ხდება II ხმაში.



მოლოდინაშვილის ხელნაწერში „დიდება მაღალიანი"-ს ბოლო. (სადა კილო)



კარბელაშვილის „დიდება მაღალიანი"-ს ბოლო. (გამშვენებული კილო)

საბედნიეროდ, ზოგადად ქართულ გალობას, მისი სადა ბუნებიდან გამომდინარე, მუსიკალური გამომსახველობითი ხერხები ნაკლებად ახასიათებს, ვიდრე ხალხურ სიმღერას. მხედველობაშია რიტმული მხარე - მკვეთრი მოძრაობები, ნახტომები, მელიზმები, შენელებები, აჩქარებები, ტემპისა და დინამიკის ცვალებადობა და სხვა. მიუხედავად დიდი მრავალფეროვნებისა, მას ეკლესიური ბუნების გამო, ძირითადად მაინც ერთიანი სახე აქვს, ანუ, თუ ნოტებიდან გიხდება საგალობლის ან სიმღერის შესწავლა, გაცილებით იოლია საგალობლის ნოტებიდან აღქმა, ვიდრე სიმღერისა, რომელსაც მრავალი ნიუანსი აქვს: კუთხურობა, შესრულების მრავალგვარი მანერა და სხვა ნიშანთვისება. გალობის სადა სახე შედარებით აიოლებს ერთი საუკუნის წინ ნოტებზე პირობითად გადატანილი საგალობლების აღქმას. ქართლ-კახური გალობა ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე უფრო წარმატებულადაა გადატანილი, ვიდრე დასავლური. აქ შედარებით ნათლად აღიქმება კილო ბგერათარიგის თვალსაზრისით და მეტნაკლებად შეიგრძნობა მოდულაციის ერთ-ერთი სახე. მხოლოდ დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი წირვის აღქმა ძნელდება გადაჭარბებული მელიზმების გამო.

<u>4) ანდრია ბენაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული წირვის წესის საგალობლები,</u> აღნიშნული საგალობლები კილოური თვალსაზრისით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ალექსანდრე მოლოდინაშვილის ხელნაწერთან.

<u>5) თვით „კარბელაანთ კილო",</u> რომლითაც, ძირითადად, წარმოდგენილია წინამდებარე გამოცემა.

იგი გამშვენებული ქართლ-კახური გალობის კლასიკური სახეა. აღმოსავლეთ საქართველოში შემორჩენილი სამგალობლო კილოებიდან, ანუ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ტიპიდან, ყველაზე დახვეწილი და გამართული ე.წ. „კარბელაანთ კილოს" გალობაა. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებს პოლიევქტოს კარბელაშვილი წარსულის იმ მგალობლებს (განსაკუთრებით აღმოსავლეთის მხარისა), რომელთა სახელებსაც უკავშირდება ქართული გალობის შენახვა და განვითარება. იგი ღრმა მწუხარებით აღნიშნავს:

„აი ამათ შეინარჩუნეს ქართული გალობა, მაგრამ ყველა მათგანს თან ჩაჰყვა საფლავში მშვენიერი კილოები" (იხ. „ქართული საერო და სასულიერო კილოები" გვ. 75-79). ძნელი წარმოსადგენი არაა თუ როგორი იგავმიუწვდომელი განძი გაქრა, რაოდენ დასანანია! მაგრამ ჯერ არს მადლობა შევწიროთ შემორჩენილისათვის. ვინ იცის, ღმერთმა ინებოს და ამ გალობით შეგვახვედროს თავისი დიდებით მეორედ მოსვლას.

დაინტერესებულ ადამიანს თავადვე შეუძლია შედარებითი ანალიზი გააკეთოს კარბელაანთ კილოსა და ვთქვათ, გელათის სკოლის საგალობლებს შორის. სხვათაშორის, როდესაც ვადარებთ ერთმანეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამგალობლო სკოლებს, რატომღაც ვიფარგლებით მხოლოდ მათ შორის არსებული მსგავსების დაფიქსირებით, სხვაობებზე კი არაფერს ვამბობთ. აი, ისინიც:

ა) არც თუ იშვიათად განსხვავებული ჰანგები.

ბ) ერთგვაროვან ჰანგებში მუხლების არაერთნაირი მონაცვლეობა ან სულაც სხვადასხვა მოტივების ფიქსირება.

გ) განსხვავებული რიტმი და რიტმული ფიგურაციები.

დ) განსხვავებული ტემპი.

ე) დასავლური სკოლისაგან განსხვავებით, ქართლ-კახურ საგალობლებში დამაბოლოებელი კადანსის შუა საგალობელში გამოჩენა, სადაც განსხვავებული, ანუ დამაბოლოვებელი მუხლი მხოლოდ ბოლოს ჩნდება.

ვ) ტერმინი ჭრელის სხვადასხვაგვარი გაგება: აღმოსავლეთში, როგორც გარკვეული მუხლის აღმნიშვნელი, რომელიც რვახმიანობის ფარგლებს არ სცილდება, იგი გამშვენების ტიპად აღიქმება. ხოლო დასავლურში, როგორც მთლიანი საგალობელი, შესრულების განსაკუთრებული სტილი და ფორმა, ტრადიციული რვა ხმის სისტემისაგან განცალკევებით მდგომი, ზოგჯერ დამოუკიდებელი რვა ხმის სისტემის მქონე (იხ. Q 672 რვა ხმის „უფალო ღაღადვყავ"), როგორც ცალკეული, სხვადასხვა სიდიდის მქონე მუხლი ან მუხლების ერთობლიობა ჩამატებული ამა თუ იმ საგალობელში (იხ. „ქართული გალობა" ტომი II გვ. 55).

ზ) ხშირად მარცვლების განაწილების არერთგვაროვანი პრინციპი

თ) დამაბოლოებელი ბგერები განსხვავებულ სიმაღლეებზე.

ი) განსხვავებები მოდულაციურ გეგმებში.

კ) წართქმით გალობის განსხვავებული ფორმები.

ლ) გამშვენების სხვადასხვა პრინციპები. აღმოსავლეთში გამშვენების ორ სახეს ვხედავთ: მელიზმატიკურს, სადაც ზედა ხმებში ვხვდებით მელიზმების სიუხვეს (იხ. დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი წირვის გალობა) და დაწინაურებული მეორე ხმის გამშვენებულ ტიპს (იხ. კარბელაანთ კილო). დასავლეთში კი, ვერტიკალ-ჰორიზონტალი გაწონასწორებულია, გამშვენებული მუსიკალური ქსოვილის შექმნაში სამივე ხმას თანაბარი ხვედრითი წონა აქვს.

მ) სავარაუდოდ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელსაც ჯერ კიდევ სჭირდება მეცნიერული დამტკიცება. საქმე ეხება იმ კილოურ (იგულისხმება ბგერათრიგი) განსხვავებას, რაც შეიგრძნობა ქართული გალობის ამ ორ ძირითად სკოლას შორის. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ გელათი-შემოქმედის სკოლისა და „კარბელაანთ კილოს" ერთი და იგივე ხმები. დაკვირვებისას დავინახავთ განსხვავებებს კილოებს შორის, ანუ ერთიდაიმავე ხმებისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთში ზოგჯერ განსხვავებულ ბგერათრიგებს იყენებდნენ. მაგრამ კარგი გამორკვევა სჭირდება იმას, ეს ტემპერაციაში ადაპტაციის შედეგია, თუ პირველწყაროშია ასე ნაგულისხმები.

სხვათაშორის ზ) და თ) პუნქტები თვით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სამგალობლო სკოლებს შორისაც გვხვდება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული გალობის ამ ორ ძირითად შტოს შორის მსგავსება მატულობს იმისდა მიხედვით, რაც უფრო სადაა გალობა და, პირიქით, მსგავსება კლებულობს სხვადასხვა

სკოლის საგალობლის გამშვენებული ტიპების შედარებისას. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, აქ არანაირ წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე, ვინაიდან ჩამოთვლილი განსხვავებები გალობის კანონიკის საზღვრებს არ სცილდება. ამ განსხვავებებს მხოლოდ ჩვენი ეკლესიისა და ერის სიმდიდრედ ვთვლით. ბუნებრივია, გვაინტერესებს რამ განაპირობა ასეთი განსხვავებები; ამისათვის, ვფიქრობთ, არსებობს ორი ძირითადი არგუმენტი:

ა) ქართლის საკათალიკოსოსთან ერთად საქართველოში ათასწლეულის მანძილზე არსებობდა აფხაზეთის, შემდგომში იმერეთის სახელით წოდებული, საკათალიკოსო. ანუ საქართველოში იყო ორი ავტოკეფალია. აფხაზეთის, ანუ იმერეთის საკათალიკოსოში შედიოდა გელათის, მარტვილისა და შემოქმედის სამგალობლო სკოლები.

ბ) სამწუხაროდ საუკუნეების მანძილზე საქართველო ყოველთვის არ იყო ერთიანი. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველო დროის უმეტესი პერიოდი სამეფოებად იყოფოდა.

ამ ორი მიზეზის გათვალისწინებითაც სრულიად გასაგები ხდება სამგალობლო ტრადიციებში არსებული განსხვავებები (აღმოსავლელ და დასავლელ კაცს ხომ ისედაც გავსხვავებული ხასიათი და ბუნება აქვს). ჩავიხედოთ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში":

- „მეთოდი: მართალს ანბობთ, ქართულ გალობაზედ იმერული გალობა უკეთ არის შეწყობილი, და თქვენ რომელი გისწავლიათ?
- იოანე: მე ქართულის კილოთი". (იხ. ქართული პროზა, ტომი VI გვ. 395)

ძნელი არ არის იმის განსაზღვრა, რომ აქ გალობის ორგვარობაზეა საუბარი. „ქართულის კილო" ჰქვია აღმოსავლეთ საქართველის გალობას, ანუ გალობის იმ ტრადიციას, რომელიც არსებობდა ქართლის საკათალიკოსოში, ხოლო ტერმინ „იმერულ გალობაში" იგულისხმება აფხაზეთის, ანუ იმერეთის საკათალიკოსოში არსებული სამგალობლო ტრადიცია. მათ შორის ძირეულ საკითხებში ვხედავთ ერთობას, მაგრამ ამავე დროს არსებობს ობიექტურად არსებული განსხვავებებიც.

წინამდებარე გამოცემა შედგენილია შემდეგი მასალის მიხედვით:

1) „მწუხრი" - ქართული გალობა კარბელაანთ კილოთი I ნაწილი თბილისი 1897 წ.
2) „ცისკარი" - ქართული გალობა კარბელაანთ კილოთი II ნაწილი თბილისი 1899 წ.
3) „ქართული გალობა" - (ქართლ-კახური კილოთი), (ლიტურღია) თბილისი 1899 წ.
4) "საეკლესიო გალობა წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქართლ-კახეთის კილოზედ, შეკრებილი და ნოტებზედ გადაღებული ანდრია ბენაშვილისაგან, ტფილისი 1886" (გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველ გამოცემაში მეოთხე პუნქტად შეცდომით იყო მითითებული ალექსანდრე მოლოდინაშვილის ხელნაწერი).
5) კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ვასილ კარბელაშვილის არქივი, საიდანაც კრებულში შევიტანეთ წირვის საგალობლები: „სამღვდელთმთავრო ღირს არსი"„იხარებს სული შენი", „ტონ დესპოტინ", „მხოლოდ-შობილო", „სასუფეველსა შენსა", „რაოდენთა ქრისტეს მიერ", „შენდამი იხარებს".

ახლა შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოთ უშუალოდ მუსიკალური მასალა.

ჩვენ არაერთგზის მიგვინიშნებია ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. როდესაც ავთენტური ქართული მუსიკა ნოტებზე აღიბეჭდება, აღბეჭდილი მასალა სანახევროდაც კი ვერ ასახავს იმ სიმდიდრეს რომელიც გააჩნია ქართულ სასიმღერო კულტურას. ყოველი მეცნიერული კვლევა-ძიება, რაც დღემდე ჩატარებულა კილოსა და ინტერვალიკის სფეროში ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანილი მუსიკალური მასალის ანალიზის მიხედვით, ხელახალ გადახედვას მოითხოვს. ჩვენს უმთავრეს მიზანს ყოველთვის დედანთან მიახლოება წარმოადგენს.

XIX საუკუნეში ნოტებზე გადატანილი საგალობლები, უნაკლოდ და უშეცდომოდ არაა შესრულებული, ამიტომაც აღნიშნულ მასალას არ უნდა მივანიჭოთ, ვთქვათ, გიორგი მთაწმინდისეული თარგამანების, როგორც ყველაზე ავტორიტეტულისა და უტყუარის, ტოლფასი მნიშვნელობა, რომლებშიც რაიმე ცვლილების შეტანა დანაშაულს უდრის. სიტყვიერი ხელნაწერი ერთია, სანოტო სულ სხვა. ეს ხელნაწერები, სახელდახელოდაა ჩაწერილი და ახლა ჩვენგან მოითხოვს მეცნიერულ შესწავლასა და გამართვას. მიუხედავად იმისა, რომ, ქართლ-კახური გალობა მნიშვნელოვანი წარმატებითაა ჩაწერილი ხუთხაზიან სისტემაზე დასავლურთან შედარებით, რომელთაგან განსხვავებით საგალობლები ნოტებზე მუხლებადაა დაყოფილი და არა ტაქტებად, მაინც საჭირო გახდა გარკვეული კორექტივების შეტანა და ზოგჯერ მუსიკალურ მასალაში რედაქტორული ხელის შევლებაც. ჩვენ მიერ შესრულებულ სარედაქტორო საქმიანობას რამდენიმე პუნქტად გამოვყოფთ:

ა) საგასაღებო და ალტერაციის ნიშნების გასწორება, მოდულაციების დადგენა.

ბ) დედანში საეჭვოდ მიჩნეული ხმათა მოძრაობების, შეძლებისდაგვარად, გასწორება (წიგნს ახლავს ვრცელი სახის შენიშვნები, სადაც თითქმის ყველა შესწორებაა დაფიქსირებული). წიგნში უმეტესად დატოვებულია დედნისეული ვარიანტები და მიწერილი აქვს ჩვენეული.

გ) შეძლებისდაგვარად, დედნის ტექსტობრივად და მუსიკალურად სრულყოფილად გამართვა. მაგალითად დედანში ცისკრის სახარების რვა წარდგომიდან მხოლოდ ორი აღმოჩნდა სრულყოფილი. დანარჩენი ჩვენ გავმართეთ.

დ) დედანში დაუსრულებელი სახით არსებული საგალობლის ჩვენ მიერ დასრულება. ასე მაგალითად ვ. კარბელაშვილის არქივიდან კრებულში შევიტანეთ „სასუფეველსა შენსა" და „შენდამი იხარებს". პირველ მათგანს მოძახილი და ბანი აკლდა, ხოლო მეორეს მხოლოდ მოძახილი.

განვიხილოთ ზოგიერთი საგალობელი დაწვრილებით.

„ნეტარ არს კაცი" დედანში შემდეგნაირადაა. იწყება ერთი ბემოლით და პირველივე მუხლის ბოლოს გადადის ექვს ბემოლში ნახევარი ტონით ზემოთ. მიუხედავად იმისა, რომ მოდულაციის შემთხვევაში თითქოს ისეთი არაფერი ხდება, პირიქით ყურსაც კი სიამოვნებს ასეთი გადასვლა, მიგვაჩნია რომ მაინც არაა სწორი ასეთნაირი მოდულირება, იგი ხელოვნურია. ქართულ მუსიკაში, როგორც სასულიერო ასევე საეროში, გარდა ემოციური მოდულაციისა, ძირითადად გვხვდება ორი სახის მოდულირება: კილოური და ტონალური. ტონალური მოდულაციის დროს (რის შემთხვევასთანაც გვაქვს ამ მომენტში საქმე) როგორც წესი ნაგებობა ინაცვლებს ზემოთ ან ქვემოთ მთელი ტონით, აქ კი ნაგებობა ნახევარი ტონით იწევს ზემოთ, რაც არაბუნებრივია ქართული საგალობლისათვის. მითუმეტეს, მთელი ქართლ-კახური მასალიდან არსად არ გვხვდება მსგავსი ტიპის მოდულაცია, გამონაკლისს წარმოადგენს ფ. კარბელაშვილის მიერ ჩაწერილი „საგალობელნი შობის დღესასწაულისა"-ს კრებულიდან VI ძლისპირის ეპიზოდი. ნახევარი ტონი კლასიკური გაგებით საერთოდ არ ახასიათებს ქართულ მუსიკას. ამდენად საჭიროდ მივიჩნიეთ მოდულირება ერთი ტონით ზემოთ მოგვეხდინა, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა გამართლებაც აქვს, ალტერაციის ნიშნების სიმცირე თვალს არ აჭრელებს. ჩვენეული ვარიანტის შემთხვევები კრებულში ბევრგან გვხვდება, მაგ. იხ. „რომელნი ქერუბიმთა"-ს ბოლო მუხლში მოცემული ანალოგიური ტიპის მოდულაცია.

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მომენტზე. ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე სრულყოფილად ვერ ისახება, არა მარტო ქართული მუსიკის ბგერათწყობის სიმდიდრე, არამედ მოდულაციებიც არაადეკვატურია ხშირ შემთხვევაში. მაგალითად, კარბელაშვილებთან დედანში ბანის მოძრაობის მიხედვით, არცთუ იშვიათად ხდება ტონალური მოდულაცია.

მაგალითი №3



კარბელაშვილები ბანის ზემოდან მოძრაობისას (დო, რე, დო, სი) არ ცვლიან ტონალობას, ხოლო თუ ბანი ქვევით ჩადის (დო, სი♭, დო), მაშინ უმეტეს შემთხვევებში აფიქსირებენ ტონალურ მოდულაციას (იხ. აგრეთვე წინამდებარე კრებულში გვ. **280** „ყოველთა და ყოვლისათვის").

აქ გავიხსენოთ ისევ ი. ბატონიშვილის „კალმასობა".

- „ხოლო კანკლედი, რომელ არს შინფარდათ წოდებული, იგი მცირედ უკვე განესხავების კილოს სიმშვენიერისათვის; და რაგვარადაც საკრავსა შინა იხმარება, ესსახედვე გალობასა შინაცა. და ესეც წარმოებს ისევ რვა ხმათაგან". (იხ. „კალმასობა", ქართული პროზა VI ტ., გვ. **396**).

აქ ჩვენის ღრმა რწმენით ტონალურ მოდულაციაზეა საუბარი. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, მგალობლების სურვილზეა დამოკიდებული, გაკეთდება თუ არა მოდულაცია. „კილოს სიმშვენიერისათვის"-ო, ამბობს ი. ბატონიშვილი, მაგრამ აქ პრინციპული საკითხია: ქართულ კილოურ მუსიკაში მოდულაციას იწვევს, ან კილოს საყრდენი ბგერის შეცვლა, ან კიდევ მთელი ნაგებობის თითო ტონით აწევ-დაწევა. მითუმეტეს, ოდენ ბანის საყრდენი ბგერის ცვლილება, როცა ნაგებობა უცვლელი რჩება მოდულაციის გამომწვევ მიზეზად ვერ ჩაითვლება. ზოგადად ბანი არ წარმოადგენს კილოს ან მოდულაციის განმსაზღვრელს ქართულ კილოურ აზროვნებაში, იგი გამომდინარეობს ყოველთვის ზედა ხმიდან და მორჩილებს მას. კილოსა და მოდულაციის განმსაზღვრელი და წარმმართველი მხოლოდ ზედა ხმაა, რაც ხუთხაზიან სისტემაზე სრულყოფილად ყოველთვის ვერ ისახება.

არის კიდევ ერთი პატარა ნიუანსი, რომელზეც ღირს ყურადღების შეჩერება. კარბელაანთ კილოს ნიმუშებში ხშირად გვხვდება მეთექვსმეტედი გრძლიობები:

მაგალითი №4



ფრჩხილებში ჩასმული გრძლიობები აღიქმება, როგორც მელიზმები.

ფრჩხილებში ჩასმული გრძლიობები აღიქმება, როგორც უშუალოდ მეთექვსმეტედები.

ჩვენი ვარაუდით ამ გრძლიობების პირველწყარო არის, არა მეთექვსმეტედები, არამედ, მელიზმები (ვგულისხმობთ აღმოსავლეთის სკოლის ნიმუშს). ასე არიან ისინი დედანში განსაზღვრულნი. ამის ფიქრის საფუძველს გვაძლევს ქართლ-კახურ გალობაში გაბატონებული მელიზმატური სტილი. ამას გარდა არსებობს ქართლ-კახური გალობის ერთადერთი ფონოჩანაწერი შესრულებული XX საუკუნის 60-იან წლებში კახი როსებაშვილის მიერ (ინახება მის პირად არქივში). ჩაწერილია ქაშუეთის ტაძრის მოხუცი მგალობლები. ასრულებენ ღამისთევის ლოცვისა და წირვის საგალობლებს. ჩანაწერი მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი ის რომ, იგი ქ.კ. გალობის ერთადერთი ავთენტური ფონოჩანაწერია, და მეორე, გვაძლევს ზოგად წარმოდგენას ქართლ-კახური გალობის საშემსრულებლო მანერაზე. გალობენ შედარებით ღია ბგერით, განსხვავებით დასავლური სკოლისაგან, არატემპერირებულ წყობაში. გალობის დროს ხმარობენ მელიზმებს, განსაკუთრებით მუხლების ბოლოს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ქართულ საგალობლებზე მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა გალობაში ხმათა მოძრაობის გარკვეული წესების არსებობა. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს:

მაგალითი №5



უკანასკნელი ნიმუში განაპირა ხმებში პარალელური სექსტებით გვხვდება სწორედ მწუხრის „აწ განუტევე"-ს ბოლო მუხლში: „და დიდებად ერისა"-ს დროს ვხვდებით პარალელურ სექსტებს განაპირა ხმებში, რაც დაუშვებელია. ჩვენ მაინც ვტოვებთ დედნისეულ ვარიანტს და ვურთავთ გასწორებულსაც.

მოგვყავს კიდევ ერთი მაგალითი. IV ხმის აწდა ღმრთისმშობლისა დედანში ასე იყო:



აქედან ძნელია გარკვევა ალტერაციის ნიშნების დასმის რა წესს ეყრდნობა ჩამწერი ან რა დროს სურს მას მოდულირება. გასწორებული ვარიანტი იხ. წინამდებარე კრებულში გვ. 56.

ჩვენ შეძლებისდაგვარად მიმოვიხილეთ ძირეული საკითხები ქართლ-კახური, ანუ აღმოსავლეთის სკოლის გალობის ირგვლივ. ყველა ნიუანსზე ყურადღების გამახვილება ვერ შევძელით. წიგნით მსარგებელთაგან მიღებულ შენიშვნებს მომდევნო გამოცემაში გავითვალისწინებთ.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, გამოცემას გარკვეული ნაკლოვანებები მაინც გააჩნია, რისთვისაც შენდობას ვითხოვთ.

მალხაზ ერქვანიძე

ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია

International transcription of the Georgian alphabet

A simple guide to pronunciation of Georgian words

Not all Georgian sounds can be adequately explained or represented by European languages, bat here is some guidance.

a - simple "a " as in "are"

b - simple "b" as in " big"

g - simple "g" as in "good"

d - simple " d" as in "day"

e - as in "at"

v - as in "visa"

z - as in "zoo"

t - as in "tea"

i - as in "England"

k - as in Spanish "Yo te Keiro"

l - as in "left"

m - as in "me"

n - as in "no"

o - as in "always"

p' - as in French "petit"

zh - as "J" in French "Je t'aime"

r - as in "ring"

s - as in "stop"

t' - as in the French "tete"

u - as in "bull"

p - as in "painting"

q - as in "Queen" or "Kate"

gh - as "R" in French "Paris"

q' - Impossible to give parallels to any of the European languages. Press the back of the tongue to the posterior wall of the pharynx and pronounce "K". Something like "K" as in German "Kirsten" but more glotalised.

sh - as in "show"

ch - as in "child"

ts - as in the end of "cats"

dz - as in the and of "beds"

ts' - a bit like the end of "tents" with a small explosion between the tongue and the upper teeth at the end on the 's' so without the release of breath (non aspirated)

ch' - this is very difficult to explain with European parallels. In English the sound "ch" would normally release air but this is glottal stopped the sound being trapped between the a closed larynx and the tongue so that air squeezes out making a little explosion.

kh - as in "J. S. Bach"

j - as in "John"

h - as in "Helen"

მწუხრი

ამინ
Amen



მოვედით, თაყვანის-ვსცეთ
O come, let us worship




და შე - უვრ - დეთ ქრის - ტე - სა, მე - უ - ფე - სა
da she - uvr - det qris - t'e - sa, me - u - pe - sa
ღმერთ - სა - ჩვენ - სა.
ghmert - sa - chven - sa.
მო - ვე - დით, თა - ყვა - ნის - ვსცეთ
mo - ve - dit, ta - q'va - nis - vstset
da she - uvr - det
თვით ქრის - ტე - სა, მე - უ - ფე - სა
tvit qris - t'e - sa, me - u - pe - sa


და ღმერთ - სა ჩვენ - სა.
da ghmert - sa chven - sa.
მო - ვე - დით, თა - ყვა - ნი - ს - ვსცეთ
mo - ve - dit, ta - q'va - ni - s - vstset
და შე - უვრ - - -
da she - uvr - - -
შ ე ნ ე ლ ე ბ ი თ
დეთ მას.
det mas.

აკურთხევს სული ჩემი
Bless the Lord



აღ - სა - რე - ბა და დი - და - დ შვე - ნი - ე -

agh - sa - re - ba da di - da - d shve - ni - e -

რე - ბა შთა - იცვ. კუ - რ-თხე - უ - ლ

